

ჟოზე მასურო დე ვასკონსელოსი

ტკბილი ფორთოხლის ხე

ამბავი პატარა ბიჭისა, რომელმაც ერთ დღეს
ტკივილი აღმოაჩინა

რომანი

გამომცემლობა
„ჯადოსნური სახლი“

ტკბილი ფორთოხლის ხე, ჟოზე მაურო დე ვასკონსელოსი
თარგმნა თათია ახალაიამ

José Mauro de Vasconcelos
meu pé de laranja lima
1968, Companhia Melhoramentos de São Paulo, ბრაზილია

2023, ჯადოსნური სახლი, თბილისი
ყველა უფლება დაცულია.

რედაქტორები:
ბექა ახალაია
საიდა ხუდიევა

ყდის დიზაინი: თათია ახალაია

ISBN 978-9941-8-5403-3

ჟოზე მაურო დე ვასკონსელოსი – დაიბადა 1920 წლის 26 თებერვალს რიო-დე-ჟანეიროში, ბანგუს რაიონში. ის დაიბადა მრავალშვილიან ოჯახში და იყო თერთმეტი შვილიდან ერთ-ერთი. მამა პორტუგალიელი, დედა კი ადგილობრივი წარმოშობის ჰყავდა. ოჯახის სიღარიბის გამო მან ბავშვობა ნატალში, ჩრდილო-აღმოსავლეთ ბრაზილიაში, ნათესავებთან გაატარა და კითხვა დამოუკიდებლად ისწავლა. მიუხედავად იმისა, რომ სურდა ფერწერის, სამართლისა და ფილოსოფიის შესწავლა, მოგვიანებით გადაიფიქრა. ორი წელი მედიცინას სწავლობდა ნატალიში. მუშაობდა კრივის მწვრთნელად, ბანანის გადამმზიდად, ლამის კლუბში მიმტანად, მუშად და მეთევზედ. გარკვეული პერიოდის განმავლობაში ჟოზე მაურო ინდიელებთან ცხოვრობდა. 1942 წელს დაწერილ პირველ რომანში – „ველური ბანანი“ მან თავისი იშვიათი თხრობითი ნიჭი გამოავლინა. მისი პოპულარობა ბრაზილიის საზღვრებს გასცდა და სახელი გაითქვა რომანებით: „ტკბილი ფორთოხლის ხე“, „მზე გავალვიძოთ“, „ნავი როზინია“, „ჩემი ძმა ქარი, ჩემი ძმა ზღვა“, „შეშლილი“, „შიშველი ქუჩა“. ავტორი, რომლის ნაწარმოებებსაც დღეს ბევრ ქვეყანაში დიდი ინტერესით კითხულობენ, 1984 წლის 24 ივლისს სან პაულოში გარდაიცვალა.

თათია ახალაია – 1990 წელს ქ. ჩხოროწყუში დაიბადა. სწავლობდა ფილოსოფიასა და ლიტერატურათმცოდნეობას ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. დღემდე არის ფოლკლორისტიკის დოქტორანტი ამავე უნივერსიტეტში. ავტორია საბავშვო მითოლოგიური რომანისა – „ჭერჭეთობა ღამე“. მთარგმნელობით საქმიანობაში კი, ჟოზე მაურო ვასკონსელოსის რომანი „ტკბილი ფორთოხლის ხე“ მისი პირველი მცდელობაა.

ედღვნება:

მერსედეს კრუანის რინალდს
ერიკ გემეინდერს
ფრანსისკო მარინს
ასევე, ჰელენე რუჯი მილერს (პიუ-პიუს!)

და ჩემს დაუვიწყარ „შვილს“
ფერნანდო სეპლინსკის

*

უკვდავ
სისილუ მატარაზუს
არნალდო მაგალიაეს დე ჟიაკომოს

*

ჩემი საყვარელი ძმის ლუისისა (მეფე ლუისი) და ჩემი დის,
გლორიას, ხსოვნას.
ლუისი ოცი წლის ასაკში გამოეთხოვა სიცოცხლეს. გლო-
რიამ ოცდაოთხი წლის ასაკში
გადაწყვიტა, რომ არ უღირდა ცხოვრება.

და ძვირფასი მანუელ ვარადარესის ხსოვნას, რომელმაც
ექვსი წლის ასაკში სიკეთის მნიშვნელობა მასწავლა.

მშვიდად განისვენოს ყველამ!

ახლა კი დორივალ ლოურენსო და სილვას

(დოდო, არც სევდა კლავს და არც მონატრება!)

პირველი ნაწილი

ზოგჯერ შობას ეშმაკი ბავშვი იბადება

თავი პირველი

საგნების აღმოჩენისას

ხელჩაკიდებულნი ნელი ნაბიჯებით მივდიოდით ქუჩაში. ტოტოკა ცხოვრებას მასწავლიდა, მე კი ძალიან ბედნიერი ვიყავი, რადგან ჩემს ძმას ჩემი ხელი ეჭირა და ასე მასწავლიდა მნიშვნელოვან რაღაცებს. ის გარეთ ყოფნისას მასწავლიდა, სახლში ყოფნისას კი ბევრ შეცდომას ვუშვებდი, რადგან დამოუკიდებლად ვცდილობდი საკუთარი თავის აღზრდას. შეცდომა კი საბოლოოდ სახეში მწარე სილით მთავრდებოდა. თავიდან არავინ მცემდა, მაგრამ მერე ყველაფერს მიხვდნენ და ეშმაკს, სატანას, ბოროტ სულს და ქუჩის მაწანწალას მეძახდნენ. მე კი ამის გაგონება არ მინდოდა და სიმღერას ვიწყებდი. რა კარგი რამ არის სიმღერა. ტოტოკამ, გარდა სიმღერისა, სტვენაც იცოდა. მე კი, როგორც არ უნდა მეცადა, ვერანაირად გამომდიოდა. ტოტოკა მამხნევებდა, რომ ეს დროებითი იყო და ჯერ არ მქონდა მოსტვენარის პირი. როცა ხმამაღლა ვერ ვმღეროდი, გულში ვიწყებდი სიმღერას. ეს უცნაური, მაგრამ ძალიან სასიამოვნო პროცესი იყო. გამახსენდა, ბავშვობაში დედა მღეროდა ერთ სიმღერას, როცა ონკანთან იდგა ხოლმე თავსაფრიანი, მზისგან თავის დასაფარად, წელზე წინსაფრით, საათობით წყალში ჩაყოფილი ხელებით რომ ეთამაშებოდა საპნის ქაფს. შემდეგ კი გაწურულ სარეცხს ბამბუკებზე გაბმულ თოკზე ფენდა. ოჯახის ხარჯების დასაფარად ექიმ ფაულჰაბერს ურეცხავდა სარეცხს. დედა მაღალი, გამბდარი, მაგრამ ძალიან